ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4563965

ნომერი: AR1685769

თარიღი : 04.06.2019

გაცემის თარიღი : 27.06.2019

გაცნობის თარიღი : 27.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 18ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გაგა კვერნაძე პ/ნ 01019058444
- თბილისი, ესმა ონიანის პირველი ჩიხი, N4, სართული 3, ბინა N13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1685769 განცხადებაზე № 4536464 და № 4551427 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან კვლავ სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

- "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ფოტომონტაჟზე გაუგებრად არის მოხაზული საპროექტო ფართი. ორივე საპროექტო ფასადზე კონტურის სახით მოხაზეთ საპროექტო ფართი, როგორც არსებულ ფოტოზე, ასევე ფოტომონტაჟზე, გაბარიტული ზომების მითითებით და პროცენტულობა დაიანგარიშეთ შესაბამისად თითოეულ ფასადზე ცალ-ცალკე. გაითვალისწინეთ: სარეკლამო აბრა უნდა განათავსოთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოსადგენი იქნება იმ ფართის მესაკუთრის თანხმობა, საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად, ვის ფართზეც მოხდება სარეკლამო აბრის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ატვირთეთ განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ჯერზე თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.